წერილის ნომერი: **18-0119015987**
თარიღი: **15/01/2019**
პინი: **6902**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 11 იანვრის #60-01190113110 წერილი (AR1618848) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე მერაბ გამყრელიძის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისში, ზაქრაძის ქ. #32-ში, ც. დადიანის ქ. #35-ში, ზაქრაძის ქ. #30-ში, ც. დადიანის ქ. #33-ში, ც. დადიანის ქ. #31-ში (ს.კ: #01.16.02.001.010; #01.16.02.001.001; #01.16.02.001.006; #01.16.02.001.007; #01.16.02.001.005; #01.16.02.001.008) (სსზ-2), არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად (ტოპო. გეგმა, ექსპერტ ალექსანდრე აფციაურის 2018 წლის 11 ოქტომბრის საექსპერტო დასკვნა, შპს „ფორესტ კომპანი“-ს თანხმობა ხეების გადარგვის თაობაზე) ტერიტორიაზე არსებულ ხუთ საკადასტრო ერთეულზე, ხე-მცენარეების საერთო რაოდენობა შეადგენს 72 ძირს. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 69 ძირი ხე-მცენარის მოჭრა/გადარგვას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ 39 ძირი მწვანე ნარგავი ხელს უშლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას (მდებარე ქ. თბილისში, ზაქრაძის ქ. #32-ში, ც. დადიანის ქ. #35-ში, ზაქრაძის ქ. #30-ში, ც. დადიანის ქ. #33-ში, ც. დადიანის ქ. #31-ში) კერძოდ: ს.კ: #01.16.02.001.001 არსებულ მიწის ნაკვეთზე 4 ძირი ხილ-კენკროვანი ხე (#1,3,6,12), ს.კ: #01.16.02.001.010 არსებულ მიწის ნაკვეთზე 18 ძირი ხილ-კენკროვანი, რომელთაგან 7 ძირის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს, ს.კ: #01.16.02.001.006 არსებულ მიწის ნაკვეთზე 2 ძირი ხილ-კენკროვანი ხე, ს.კ: #01.16.02.001.006 არსებულ მიწის ნაკვეთზე 15 ძირი ხილ-კენკროვანი ხე, რომელთაგან 7 ძირი ხილ-კენკროვანის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

რაც შეეხება ხე-მცენარეების გადარგვის საკითხს, რომლებიც ექსპერტის რეკომენდაციის თანახმად ექვემდებარება გადარგვას (სულ 28 ძირი მწვანე ნარგავი), დადგენილების 21-მუხლის საფუძველზე, სამსახური გასცემს ქ. თბილისში, ზაქრაძის ქ. #32-ში, ც. დადიანის ქ. #35-ში, ზაქრაძის ქ. #30-ში, ც. დადიანის ქ. #33-ში, ც. დადიანის ქ. #31-ში ს.კ: #01.16.02.001.001 არსებულ მიწის ნაკვეთზე 4 ძირი თუთის (#2-28,5სმ, #4-12,5სმ, #9-18,9სმ, #11-21,3სმ), 6 ძირი აილანთუსის (#7-33,3სმ, #8-25,4სმ, #13-1,2-2,2სმ, #16-1,0-1,7სმ, #17-1,0-1,9სმ, #20-0,9-1,5სმ), 4 ძირი აკაციის (#14-0,9-1,5სმ, #15-0,8-1,7სმ, #18-1,0-1,6სმ, #19-0,8-1,5სმ), ს.კ: #01.16.02.001.010 არსებულ მიწის ნაკვეთზე 1 ძირი კვიდოს (#5-18,9სმ), 7 ძირი აკაკის (#8-2,8სმ, #10-4,7სმ, #14-6,6სმ, #15-6,3სმ, #19-3,7სმ, #20-2,8სმ, #25-14,2სმ), 1 ძირი თუთის (#12-22,1სმ), 1 ძირი დაფნის (#18-4,2სმ), ს.კ: #01.16.02.001.006 არსებულ მიწის ნაკვეთზე 1 ძირი იასამნის (#3-2,7-5,3სმ), ს.კ: #01.16.02.001.008 არსებულ მიწის ნაკვეთზე 1 ძირი იასამნის (#2-13,2სმ), 1 ძირი ამერიკული

ნეკრჩხალის (#9-48,3სმ) და 1 ძირი პალმის (#10-24,5სმ) იმავე საკადასტრო ერთეულში, პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში გადარგვის ნებართვას, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა მომართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ.

აქვე გაცნობებთ, რომ დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ს.კ: 01.16.02.001.001 არსებულ მიწის ნაკვეთზე 1 ძირი #10 აილანთუსის გამხმარი ძირკვის მოჭრის ნებართვას სამსახური გასცემს მას შემდეგ, რაც დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად განმცხადებელი წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს შეძენილი მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება) და მშენებლობის ნებართვას.

საკომპენსაციო რგვის ფარგლებში მესაკუთრეს ევალება 1 (ერთი) ძირი არანაკლებ 3,5 მ სიმაღლის (გარშემოწერილობა არანაკლებ 20 სმ) ფოთლოვანი ნერგის დარგვა იმავე ტერიტორიაზე. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში.

რაც შეეხება, ს.კ: 01.16.02.001.001 არსებულ მიწის ნაკვეთზე, ძირკვზე ამონაყარ ჭადრის (#5-13,1სმ) ხის მოჭრის საკითხს, დადგენილების 26-ე მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახური გასცემს აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოდგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესაბამის საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელების-აღდგენითი ღირებულების თანხის გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 256 (ორას ორმოცდათექვსმეტ) ლარს (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე იგეგმება IV კლასის ობიექტის მშენებლობა, პროექტის შეთანხმების ეტაპზე არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს გამწვანების პროექტი, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები: მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

გასამწვანებელი მცენარეების სახეობები (კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა) უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი